სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/94

ქ. თბილისი 30 ივნისი 2020 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პროფესორ ჯემალ გახოკიძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 29 ივნისის სხდომის №12 ოქმის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის ირაკლი გაბისონიას მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 25 ივნისის №25/06/01 განკარგულებით გამოცხადებულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილ იქნეს სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერის, ბატონი ჯემალ გახოკიძის კანდიდატურა.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დავით გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — იაშა კუტუბიძე